დანართი 18

შპს უსაფრთხოების აკადემია

<u>დამტკიცებულია:</u>

კოლეჯის საბჭოს თავმჯდომარე:

დავით მაზმიშვილი

08/02/ 2024 წ.

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

თბილისი 2024

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1.1. კოლეჯის შპს უსაფრთხოების აკადემია (შემდგომში – კოლეჯი) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (შემდგომში - მეთოდოლოგია) განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის წესსა და პროცედურებს;

2. მეთოდოლოგია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და განათლების ხარისხის ეროვნულ სტანდარტებთან.

მუხლი 2. მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამისადმი

2.1. პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მოსაპოვებლად საჭირო სასწავლო კურსების/კომპონენტების ერთობლიობას;

2.2. პროგრამაში გადმოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლება-სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები შესაბამისი კრედიტებით, შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესის ორგანიზების წესი, ინფორმაცია მატერიალურ-ფინანსური და ადამიანური რესურსის შესახებ,;

2.3. პროგრამა აიგება ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად. პროგრამის კომპონენტებისათვის კრედიტის მინიჭება დამოკიდებულია სასურველი სწავლის შედეგის სრულ მიღწევაზე;

2.4. პროგრამის კომპონენტები წარმოდგენილია სასწავლო კომპონენტის და სასწავლო-პრაქტიკული კომპონენტის სახით;

2.5. პროგრამის კომპონენტების თანმიმდევრობა და მათზე დაშვების წინაპირობები უნდა იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული;

2.6. საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ინფორმაცია:

2.6.1. პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად);

2.6.2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად) - შესაბამისობაშის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან;

2.6.3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით;

2.6.4. სწავლების ენა;

2.6.5. ინფორმაცია პროგრამის მატერიალური და ფინანსური მდგრადობის შესახებ.

2.6.6. პროგრამაზე მიღების წინაპირობა - უნდა იყოს გამჭვირვალე და უზრუნველყოფდეს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას;

2.6.7. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები.

2.7. პროგრამის მიზნები:

2.7.1. უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე – დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;

2.7.2. უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი;

2.7.3. უნდა ასახავდეს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა;

2.7.4. უნდა იყოს საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებული პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

2.8. სწავლის შედეგები:

2.8.1. უნდა აღწერდეს იმ ცოდნას და უნარებსა, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

2.8.2. უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს;

2.8.3. უნდა იყოს მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი;

2.8.4. უნდა შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

2.9. სწავლების - სწავლის მეთოდები

2.9.1. შესაბამისობაში უნდა იყოს განათლების საფეხურთან, პროგრამის მიზანთან, პროგრამის შინაარსთან და უზრუნველყოფდეს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე სპეციალისტის მომზადებას;

2.10. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

2.10.1. უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას, პროგრამის სპეციფიკას, დაგეგმილ სწავლის შედეგებს;

2.10.2. უნდა იყოს გამჭვირვალე;

2.10.3. უნდა აერთიანებდეს შეფასების იმ ფორმებს, მეთოდებს და კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მიღწევების შეფასებას.

2.11. კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო:

2.11.1. დასაქმების სფერო უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზანს, შინაარსს და კურსდამთავრებულის კომპეტენციებს.

2.12. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

2.12.1. პროგრამაში უნდა მიეთითოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უმაღლესი განათლების რომელ საფეხურზე შეძლებს კურსდამთავრებული სწავლის გაგრძელებას.

2.13. საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ახლდეს:

2.13.1. პროგრამის სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს: ყველა სავალდებულო და არჩევით კომპონენტს, შესაბამისი კრედიტების რაოდენობას (გეგმაში მითითებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის ჯამი უნდა აღემატებოდეს არჩევითი სასწავლო კურსებისთვის პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობას), საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ოდენობას, დაშვების წინაპირობებს;

2.13.2. ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებლების შესახებ;

2.13.3. სწავლის შედეგების (კურიკულუმის) რუკა, რომელშიც ნაჩვენებია, თუ რა სიღრმით (გაცნობა; გაღრმავება; განმტკიცება) ავითარებს სწავლის შედეგს პროგრამის ცალკეული კომპონენტი;

2.13.4. პროგრამის სამიზნე ნიშნულები, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევს სტუდენტი თითოეულ სწავლის შედეგს;

2.13.5. სასწავლო კურსის/კომპონენტების მოდულები (სილაბუსები), რომელთა ინფორმაციაა: სასწავლო კურსის სახელწოდება, ავტორი, კუსის წამყვანი, მიზნები, კრედიტის რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები), კურსის წინაპირობა, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლების-სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა, ძირითადი ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა და სხვა სახის სასწავლო მასალა.

მუხლი 3. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები.

3.1. პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი;

3.2. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის/მიმართულების სპეციალისტი, პროგრამის შემუშავებისა და განვითარების კომპეტენცია;

3.3. პროგრამის რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში მათი საერთო გადაწყვეტილებით ერთ-ერთი შეიძლება იყოს კოორდინატორი, რომელიც ორგანიზებას უწეს პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესს, უწევს კონსულტაციას სტუდენტებს პროგრამასთან დაკავშირებით; კოორდინაციაშია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა

4.1. პროგრამის დაგეგმვა მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

4.1.1. პროგრამის საჭიროების კვლევა - ამ მიზნით კოლეჯის ატარებს შრომის ბაზრის კვლევას და განსაზღვრავს პროგრამის საჭიროებას დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე;

4.1.2. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების განსაზღვრა;

4.1.3. მისანიჭებელი კვალიფიკაციის განსაზღვრა;

4.1.4. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების განსაზღვრა;

4.1.5. პროგრამით მიღწევადი დარგობრივი და ტრანსფერული კომპეტენციების განსაზღვრა; 4.1.6. კურიკულუმის სტრუქტურის და შინაარსის განსაზღვრა;

4.1.7. სწავლებისა და სწავლის მეთოდების და სტუდენტის შეფასების მეთოდების განსაზღვრა.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

5.1. პროგრამას შეიმუშავებენ პროგრამის განმახორციელებლები;

5.2. პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობას ღებულობენ დაინტერესებული მხარეები – სტუდენტები, დარგის სპეციალისტები, პოტენციური დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვ.;

5.3. პროგრამის შემუშავების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის მუშაობას უძღვება/უძღვებიან ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები;

5.4. პროგრამას განიხილავს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის საბჭოს.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა

6.1. პროგრამის შესაბამისობას მოქმედ სტანდარტებთან, აგრეთვე – კოლეჯის ნორმატიულ რეგულაციებთან, ადგენს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

6.2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში, პროგრამა შენიშვნის გასათვალისწინებლად პროგრამაზე უბრუნდება სამუშაო ჯგუფს; 6.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცემა კოლეჯის საბჭოს.

მუხლი7. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

7.1. კოლეჯში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შეფასებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

7.1.2. პროგრამის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

7.1.2.1 ახორციელებს სასწავლო და საგამოცდო პროცესების მონიტორინგს;

7.1.2.2. ატარებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პროგრამის განმახორციელებელი და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვებს, საჭიროების შემთხვევაში – ინტერვიუირებას;

7.1.2.3. ახორციელებს სასწავლო მასალების მონიტორინგს.

7.2. პროგრამის შეფასებისთვის გამოიყენება პროგრამის შეფასების რაოდენობრივი მაჩვენებლების სხვადასხვა ინდიკატორი:

7.2.1. სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;

7.2.2. პროგრამაზე ჩარიცხის დინამიკა;

7.2.3. გარე მობილობით პროგრამაზე გადმოსვლისა და პროგრამიდან გადასვლის სტატისტიკა;

7.2.4. პროგრამის ვადაში დასრულების მაჩვენებელი;

7.2.5. სასერტიფიკატო გამოცდების შედეგები;

7.2.6. პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;

7.2.7. კურსდამთავრებულთა სპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი.

7.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის საბჭოს;

7.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებს განიხილავს კოლეჯის საბჭო და აძლევს მითითებებს პროგრამის ხელმძღვანელს/კოორდინატორს პროგრამაში რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე;

7.5. მოდიფიცირებულ პროგრამას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დადებითი დასკვნის შემთხვევაში განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის საბჭოს.